ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 292601413**
თარიღი:**14/01/2026**

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამა

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის ,,ბ,, ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მეორე ნაწილის და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის 2026 წლის მხარდაჭერის პროგრამა თანდართული სახით.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 5 . განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სოსო ჩაფიჩაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM